ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
და მათი შეფასება

(დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს 2025 წლის 21 ივლისის
სხდომის № 13 ოქმით)

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....3
მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.....3
მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება.....3

დანართი № 1. ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები, შესრულების ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები.....7
დანართი №2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი განხორციელების პერიოდულობა.....9

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს ალტე უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტი) მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული მართვის ნაწილს, რადგან ამ მექანიზმების საშუალებით ხდება ინსტიტუციის ძირითადი საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანა უნივერსიტეტის მისიით გათვალისწინებულ სტრატეგიულ მიზნებთან.

1.2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციურ ჩარჩოს განსაზღვრავს უნივერსიტეტის მისია, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები და ყველა დაინტერესებული მხარე, რომელთაც წვლილი შეაქვთ და მონაწილეობენ განათლების ხარისხის განვითარებაში.

1.3. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი. აღნიშნული დეპარტამენტი უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის თანამშრომლობს საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართულ ყველა მხარესთან.

1.4. ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია გადანაწილებულია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებზე. მათ შორის ძირითად მხარეებს წარმოადგენს - უნივერსიტეტის სკოლებში სწავლების განმახორციელებელი პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები. უნივერსიტეტს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ასევე ჩართული ყავს კურსდამთავრებულები და დამსაქმებელთა წარმომადგენლები.

მუხლი 2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები

2.1. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები (იხ. დანართი №1), რომლებიც თითოეული სკოლისა და სტრუქტურული ერთეულისათვის ქმნის საფუძველს ხარისხის შიდა უზრუნველყოფისათვის და ეხმარება უნივერსიტეტს შეინარჩუნოს ხარისხის სტანდარტი მთელი ინსტიტუციის მასშტაბით.

2.2. უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფისათვის იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

2.2.1. სწავლება-სწავლისა და სტუდენტთა მხარდაჭერის პროცესის მუდმივი გაუმჯობესებისათვის შიდა შეფასების პროცედურები მოიცავს:

2.2.1.1. ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტების მიერ თითოეული სასწავლო კურსის შეფასება. ამ შეფასებით ხდება სტუდენტთა შეხედულებების დადგენა კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე, კურსის სირთულეზე, სასწავლო რესურსებით კმაყოფილებაზე და სწავლება -სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის საჭირო სხვა ასპექტებზე;

2.2.1.2. ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს, რომელსაც ახორციელებს აკადემიური პროცესებისა და სტუდენტური გამოცდილების მართვის დეპარტამენტი და აწვდის სკოლას. ამ შეფასების მიზანია სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი აკადემიური მხარდაჭერის საჭიროებების დადგენის მიზნით;

2.2.1.3. აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სერვისებით სტუდენტთა კმაყოფილების ყოველწლიურ კვლევას;

2.2.2. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია, ასევე პროგრამების შუალედური შეფასების მეთოდოლოგია, რაც გულისხმობს პროგრამების შუალედურ შეფასებას აკრედიტაციის მიღებიდან 3 წლის შემდეგ (მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამების შემთხვევაში ყოველი 2 წლის შემდეგ), საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის, პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურების (საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები) დანართი № 2-ით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის შეფასებისათვის მზადდება თვითშეფასების დოკუმენტი, რომელშიც გამოიყენება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, გარე ექსპერტების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი.

2.2.2.1. საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციოდ წარსადგენად თვითშეფასების განხორციელება (6 წელიწადში ერთხელ) ეფუძნება პროგრამის შუალედური შეფასებების შედეგებს და მის შემდეგ პროგრამის განხორციელებასა და შეფასებაში ჩართული დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებულ უკუკავშირს.

2.2.3. კვლევითი საქმიანობის ყოველწლიური შეფასება, რაც განხორციელებული აქტივობების შეფასების გარდა ასევე მოიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის შეფასებას მისი მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით. შეფასებისთვის უნივერსიტეტი იყენებს კვლევის პროდუქტიულობის მონაცემებს, როგორიცაა - პუბლიკაციების რაოდენობა წლის განმავლობაში და მათი ხარისხი, პუბლიკაციების ციტირების ანალიზი, კვლევების მიმართულებით თანამშრომლობითი ინიციატივები/პროექტები, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ლექტორების და სტუდენტების სამეცნიერო - კვლევით აქტივობებში ჩართულობის მაჩვენებლი. შეფასებისთვის ასევე გათვალისწინებული იქნება უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსი კვლევებისათვის, გარე დაფინასების წყაროების მოძიების მაჩვენებლი. რაც შეეხება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის შეფასებას, ამ მიზნით უნივერსიტეტი აანალიზებს აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ტრეინინგების მონაწილეთა (სტუდენტების და პერსონალის) რაოდენობას, იყენებს მონაწილეთა უკუკავშირს ამ ტრეინინგ პროგრამების ეფექტურობაზე, აანალიზებს მონაცემებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის (მათ შორის პლაგიატის) შემთხვევებზე და მათზე რეაგირების ეფექტურობას, იყენებს ფოკუს-ჯგუფებს სტუდენტებთან და პერსონალთან რაც საშუალებას იძლევა უფრო ღრმად იქნას შესწავლილი მათი წარმოდგენები და გაგება აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ. აღნიშნული კვლევის შედეგებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან.

2.2.4. მართვის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები მოიცავს:

ა) უნივერსიტეტის სამწლიანი სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგს ასრულებს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის კომიტეტი შესაბამისი პასუხისმგებელი მხარიდან მიღებული ანგარიშის საფუძველზე, რომელიც ხორციელდება შესაბამისი სკოლებისა და/ან სტრუქტურული ერთეულების მიერ, ხოლო მიღებული წლიური ანგარიშები კი წარედგინება აკადემიურ საბჭოს, დირექტორთა საბჭოს და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს;

ბ) სტუდენტების კმაყოფილების ყოველწლიურ კვლევას უნივერსიტეტში არსებული მხარდაჭერის მექანიზმებით (აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის, ინტეგრაციის, კარიერული მხარდაჭერის სერვისებით და სხვა.);
გ) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების ყოველწლიური კვლევა, რომელთა საფუძველზეც ხდება სტრუქტურული ერთეულების ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი არეების გამოვლენა;
დ) ინტერნაციონალიზაციის შეფასებას 3 წელიწადში ერთხელ, რომელიც ეფუძნება შემდეგი ასპექტების შეფასებას - პროგრამებში ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარების და კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობების შეფასება, საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები, საერთაშორისო მობილობის ხელმისაწვდომობა სტუდენტებისა და პერსონალისათვის (მობილობაში მონაწილე სტუდენტებისა და პერსონალის პროცენტულობა), პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში, საერთაშორისო სტუდენტების კმაყოფილება უნივერსიტეტში ინტეგრაციის კუთხით, სტუდენტების კმაყოფილების დონე საერთაშორისო გამოცდილებების ხელმისაწვდომობის კუთხით, საერთაშორისო თანამშრომლობით სწავლების, კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით და მათი გავლენის შეფასება.
ე) ინოვაციებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის შეფასებას სამ წელიწადში ერთხელ, რაც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამებში კურსების რაოდენობის დადგენას, რომლებიც დაკავშირებულია მეწარმეობასა და ინოვაციებთან, აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომელიც ჩართულია ამ კურსების განხორციელებაში, სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ მეწარმეობასთან და ინოვაციებთან დაკავშირებულ ექსტრა-კურიკულურ აქტივობებში, უნივერსიტეტის თანამშრომლობის შეფასებას ორგანიზაციებთან, რომლებიც მხარს უჭერენ ინოვაციებსა და მეწარმეობას, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ე.წ. ნეთვორქინგ ღონისძიებების რაოდენობა, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი სტუდენტებს აკავშირებს წარმატებულ მეწარმეებთან და ბიზნესის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომლებიც არიან წარმატებული მეწარმეები, ინოვაციების მხარდაჭერის კულტურის შეფასება (HE Innovate-ინსტრუმენტის გამოყენებით).
ვ) ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების მექანიზმების შეფასება 3 წელიწადში ერთხელ, რომელიც ეფუძნება სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევას ელექტრონული სერვისებითა და მართვის ელექტრონული სისტემებით, ასევე მათ საჭიროებების კვლევას ამ სისტემებთან მიმართებით, ელექტრონულ სისტემებთან სტუდენტებისა და პერსონალის ინტერაქციის სიხშირის შეფასებას ძლიერი და განსავითარებელი მხარეების დადგენის მიზნით.
ზ) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასებას, ახალი მექანიზმის შემთხვევაში მექანიზმის განხორიცელების დასრულებისთანავე, მოქმედი მექანიზმის შემთხვევაში 6 წელიწადში ერთხელ; აღნიშნული შეფასების ფარგლებში ხდება გამოყენებული მექანიზმების სანდოობის, ვალიდურობისა და მათი ზოგადი გავლენის შეფასება, რაც მოიცავს გამოკითხვაში მიღებული პასუხების რაოდენობის მაჩვენებლის გათვალისწინებას, ასევე შეფასებას იმისა, თუ რამდენად ხდება რეაგირება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებით მიღებული შედეგების საფუძველზე.
თ) ფინანსური ეფექტიანობის შეფასებას (ხორციელდება თითოეული სტრატეგიული ციკლის დასრულებისას), რომლის მიზანია უნივერსიტეტში ფინანსური რესურსების მართვის შეფასება და ოპტიმიზაცია, ფინანსური რესურსების ეფექტური განაწილების და მდგრადობის

უზრუნველყოფისათვის, რაც მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის გრძელვადიანი მიზნების მხარდასაჭერად.

2.2.5. საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის შეფასებას (3 წელიწადში ერთხელ), რაც გულისხმობს უნივერსიტეტის მესამე მისიით გათვალისწინებული საქმიანობის შეფასებას. ეს საქმიანობა სცდება უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული სწავლებისა და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ფარგლებს და გულისხმობს უნივერსიტეტის საზოგადოებაში ჩართულობას, თანამშრომლობას სხვადასხვა სექტორის ორგანიზაციებთან ინოვაციებისა და კვლევების მიმართულებით, რაც ორიენტირებულია ამ სექტორებისა და ზოგადად, საზოგადოების საჭიროებებზე.

ა) ცოდნის გავრცელება (საჯარო ლექციები),
ბ) მოკლევადიანი კურსების განხორციელება,
გ) ინოვაციური გადაწყვეტების შეთავაზება საზოგადოებისთვის,
დ) საზოგადოების ჩართულობა.

აღნიშნული მექანიზმების განხორციელება ფასდება ვიცე პრეზიდენტის (მარკეტინგისა და ბიზნესის განვითარების მიმართულებით) მიერ მომზადებული წლიური ანგარიშების საფუძველზე. ღნიშნული ანგარიშები თავის მხრივ სკოლების და დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების და მტკიცებულებების მიხედვით დგება.

მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება

3.1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება ითვალისწინებს დადგენას - თუ რამდენად უწყობს ხელს არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უნივერსიტეტის მიზნების მიღწევას და საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებას.

3.2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

3.2.1. დანართი № 1 და № 1.1 - ში მოცემული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტების მიხედვით შესრულების ინდიკატორებისა და შესაბამისი სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, სამოქმედო გეგმის შედგენის ეტაპზე, რომელთა შესრულების შეფასება მოხდება უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით.

3.2.2. შესრულების ინდიკატორებთან და სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებული მონაცემების რეგულარული შეგროვება, ანალიზი და დადგენა თუ რამდენად პასუხობს ეს შედეგები სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3.2.3. ჩატარებული შეფასებების შედეგების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების და/ან რჩევების შემუშავება და შესაბამის მხარესთან გაზიარება.

3.2.4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პერიოდული შეფასება, რომელიც ხორციელდება კონკრეტული მექანიზმის განხორციელების პირველი ციკლის დასრულების შემდეგ და კომპლექსური შეფასება ექვს წელიწადში ერთხელ, რომელიც გულისხმობს გამოყენებული ინსტრუმენტების გადახედვას დაინტერესებული მხარეებისა და გარე ექსპერტების ჩართულობით.

დანართი № 1 - ალტე უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები

ხარისხის შიდა სტანდარტი 1.1: თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა აღჭურვილია უახლესი სასწავლო მეთოდებით, რაც სტუდენტებს აძლევს მოტივაციას სრულად აღმოაჩინოს საკუთარი პოტენციალი და შესაძლებლად აქციოს ის, რაც ერთი შეხედვით შეუძლებლად გამოიყურება. საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნებს და ხელს უწყობს სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ალტე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იქნებიან დასაქმებისთვის სრულად მომზადებული გლობალური მოქალაქეები, რომლებსაც ექნებათ საჭირო ცოდნა და ყველა უნარი საზოგადოებასა და გარემოზე პოზიტიური ზეგავლენის მოსახდენად.

სტანდარტი 1.2: ყველა აკადემიური პროგრამა გადის რეგულარულ გარე შეფასებას დარგში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით მათი რელევანტურობის უზრუნველყოფის მიზნით

2. სკოლის საქმიანობა

სტანდარტი 2.1: თითოეული სკოლის აკადემიური და ადმინისრტრაციული პერსონალი არის კვალიფიციური და აქვს პროფესიული განვითარების მოტივაცია

სტანდარტი 2.2: სკოლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებისას გამოიყენება კოლეგების შეფასება (peer review), სტუდენტების უკუკავშირი, და კონტრიბუცია მეწარმეობისა და ინოვაციების მიმართულებით(ბიზნესის სკოლის შემთხვევაში).

3. სტუდენტების შეფასება და მხარდაჭერის სერვისები

სტანდარტი 3.1: აკადემიური პერსონალი იყენებს შეფასების მრავალფეროვან, სამართლიან და გამჭვირვალე მეთოდებს, რომლებიც რელევანტურია სწავლის შედეგების შესაფასებლად

სტანდარტი 3.2: სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია მხარდაჭერის სერვისები, მათ შორის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, აკადემიური მხარდაჭერის და კარიერული მხარდაჭერის სერვისები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების წარმატებას

4. კვლევა, ინოვაცია და მეწარმეობა:

სტანდარტი 4.7: უნივერსიტეტი ხელს უწყობს უნივერსიტეტში კვლევის, ინოვაციებისა და მეწარმეობის კულტურის განვითარებას

სტანდარტი 4.8: უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს ამ საქმიანობის მონიტორინგს და უზრუნველყოფს შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმების ხელმისაწვდომობას

5. ინფრასტრუქტურა და სასწავლო რესურსები

სტანდარტი 5.1: უნივერსიტეტში არსებული სივრცეები და ციფრული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტთა მოთხოვნებს

სტანდარტი 5.2: საბიბლიოთეკო და ციფრული რესურსების განახლება ხდება მუდმივად სტუდენტებისა და პერსონალის საჭიროებიდან გამომდინარე

6. ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები

სტანდარტი 6.1: უნივერსიტეტი იცავს ეთიკის მაღალ სტანდარტს აკადემიური და კვლევითი საქმიანობის წარმართვის პროცესში

სტანდარტი 6.2: უნივერსიტეტი იყენებს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის აქტიურ გზებს, რაც ითვალისწინებს პლაგიატისა და აკადემიური კეთილსინდისიერების სხვა რისკების პრევენციას და მათზე რეაგირებას.

7. ტექნოლოგიების ინტეგრირება

სტანდარტი 7.1: უნივერსიტეტის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ონლაინ პლატფორმებისა და ინფორმაციული სისტემების ჩათვლით არის სანდო, დაცული და პასუხობს საგანმანათლებლო მიზნებს

სტანდარტი 7.2: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის ხელმისაწვდომია ტრეინინგები ამ ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებისათვის

8. მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა

სტანდარტი 8.1: უნივერსიტეტი ხელს უწყობს მრავალფეროვანი და ინკლუზიური გარემოს განვითარებას, რომელშიც დაცულია თანაბრობის პრინციპები და პატივს სცემენ დაინტერესებული მხარეების განსხვავებულ პერსპექტივებს

სტანდარტი 8.2: უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ პროგრამებსა და კურიკულუმს გარე აქტივობებში დაცულია ინკლუზიურობის პრინციპები.

9. მუდმივი განვითარება

სტანდარტი 9.1: უნივერსიტეტს აქვს მუდმივი განვითარების სისტემა, რომელიც ეფუძნება რეგულარულ შეფასებებს, მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებას და სტრატეგიულ დაგეგმვას.

სტანდარტი 1 18: შეფასების შედეგები გამოიყენება საქმიანობის გაუმჯობესებისათვის

10. კომუნიკაცია და გამჭვირვალობა

სტანდარტი 10.1: უნივერსიტეტის საკომუნიკაციო არხები ღიაა და უზრუნველყოფს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან უნივერსიტეტთან კომუნიკაციის წახალისებას.

სტანდარტი 10.2: უნივერსიტეტი რეგულარულად ამზადებს ანგარიშს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე და ამ ანგარიშებს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს.

დანართი № 2 - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი განხორციელების პერიოდულობა